პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი № 168 (10865) | ხუთშაბათი, 18 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ადგილობრივი გაზეთების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

დღითიდღე ძლიერდება მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში. ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელთა მთელი ძალები მიმართულია იქითკენ, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმები. ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელებს ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს პრესა, პირველ რიგში რაიონული გაზეთები.

ადგილობრივი გაზეთების უპირველესი მოვალეობა ახლა ის არის, რომ ყველა შესაძლებლობის გამოყენებით მჭიდროდ დარაზმონ კოლმეურნეები და სოფლის მექანიზატორები მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარებისათვის, განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება, გამოააშკარავონ ნაკლოვანებები მოსავლის აღებაში, დაეხმარონ კოლმეურნეებს სოციალისტური შეჯიბრების შიმდგომ გაჩაღებასა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებაში.

ბევრი რაიონული გაზეთი სერიოზულ მუშაობას ეწევა მოსავლის აღებისა და პურის დამზადების მიმდინარეობის გაშუქებასთან ერთად კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ყურადღებას ამახვილებენ გადაუდებელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა, პირველ რიგში სიმინდისა და ტექნიკური კულტურების მოსავლის დროულად აღებისათვის მზადების საკითხებზე.

მოსავლის აღების წარმატებით გადაჭრაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსიანად მოწყობას. ადგილობრივი გაზეთები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს მინდვრად, კომბაინის აგრეგატებზე, კალოებზე სააგიტაციო მუშაობის გაჩაღებაში, უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ მთელი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა წარმართულ იქნას მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავების უზრუნველყოფისაკენ.

რაიონული გაზეთები მათ წინაშე მდგომ ამოცანებს წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყვეტენ, თუ მათს საქმიანობას ყოველდღიურად უხელმძღვანელებენ პარტიის რაიკომები. პარტიის რაიკომები უნდა წარმართავდნენ გაზეთების მუშაობას, მხარს უჭერდნენ მათს ინიციატივას, საქმიანად ეხმაურებოდნენ მათს სიგნალებს.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ახალი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ამ ლოზუნგით იბრძვიან ისინი ამჟამად მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. ადგილობრივი პრესის ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სოფლის მშრომელებს ამ კეთილშობილური ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

ქართულ ენაზე ბროშურად გამოიცა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოსცა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე „მრეწველობასა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

აჭარამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

აჭარის ასს რესპუბლიკამ 9 ივლისისათვის 101 პროცენტით შეასრულა პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 404 ცენტნერი პარკი. სხვებზე ადრე პარკის ჩაბარების გეგმა შეასრულეს ბათუმის რაიონის კოლმეურნეობათა მეაბრეშუმეებმა. 9 ივლისისათვის მათ აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმას გადააჭარბეს 18,1 პროცენტით. ამავე რიცხვისათვის ქალაქ ბათუმის მეაბრეშუმეებმა პარკის ჩაბარების გეგმა 118 პროცენტით შეასრულეს.

აბრეშუმის პარკის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს ქობულეთისა და ქედის რაიონებში. (საქდესი)

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 14 ივლისისათვის 101 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში.

1957 წლის 20 ივლისს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მოწვეულია

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მესამე ყრილობა

დელეგატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 33, ტელეფონი 3-36-18.

დეპეშა

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ვილიამ შირროკის

ვტოვებთ რა თქვენი მშვენიერი სამშობლოს ფარგლებს, კვლავ მოგმართავთ დიდი მადლიერებისა და გულითადი მადლობის სიტყვებით იმ განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გაუწიეთ ჩეხოსლოვაკიაში მისი ყოფნის დროს.

თქვენს ქვეყანაში გატარებული დღეები და დაუვიწყარი შეხვედრები ჩვენი მოძმე ჩეხოსლოვაკი ხალხის წარმომადგენლებთან სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, მეგობარ ჩეხოსლოვაკიაში მიწვევისათვის, გულთბილი და გულითადი მიღებისათვის, რაც ჩვენს დელეგაციას გაუწიეთ, და სულით და გულით გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ჩეხოსლოვაკ ხალხს შემდგომ წარმატებებს ახალი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშენებლობაში, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ნ. ხრუშჩოვი, ნ. ბულგანინი, ნ. პატოლიჩევი, ო. ივაშჩენკო, ვ. გრიშინი.

1957 წ. 16 ივლისი
თვითმფრინავიდან.

მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

16 ივლისს დღის მეორე ნახევარში პრაღიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ი. ივაშჩენკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში იყო მეგობრული ვიზიტით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შესახვედრად შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელნი. დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ო. ვ. კუუსინენი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთელი რიგი სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სხვა წევრები, რომლებიც სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან და გავლით იმყოფებიან სსრ კავშირში.

შემხვედრთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პერსონალი, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი სპორტის სასახლეში

ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი ლუჟნიკში... სპორტის სასახლის ვრცელი დარბაზი ლამაზად არის მორთული. სცენაზე ცოცხალ ყვავილებშია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი.

მოსკოვის ათასობით მშრომელი მოვიდა აქ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის დაბრუნებას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში მოგზაურობიდან. მიტინგის მონაწილენი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოგზაურობის შედეგებს. გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ისინი მიტინგის პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინს და დელეგაციის სხვა წევრებს, აგრეთვე ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ე. ვოროშილოვს, ო. ვ. კუუსინენს, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, ა. ნ. კოსიგინს, მ. გ. პერვუხინს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ხო ში მინს. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციას უმართავს მათ.

მიტინგი გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ტ. მარჩენკომ.

სიტყვა ეძლევა მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის ზეინკალს მ. ი. კუზნეცოვს. მოსკოვის ინტელიგენციის სახელით სიტყვას ამბობს მწერალი თ. ი. პანფეროვი. შემდეგ სიტყვა ეძლევა ფაბრიკა „პარიქსკაია კომუნის“ ახალგაზრდა გამომჭრელ მუშას ვ. ს. ორლოვას.

მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება, რაც ხელს უწყობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მას. დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს სამუდამო და სამარადისო მეგობრობა აქვთ ჩეხოსლოვაკიის ხალხთან.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მიტინგს ესწრება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ უკრავენ ტაშს ამხ. ხო ში მინს.

ამხანაგი ხო ში მინი გულთბილ სალამს უძღვნის მიტინგის მონაწილეებს და საბჭოთა ხალხს.

მიტინგი დამთავრებულია. დარბაზში კვლავ გაისმის ტაში, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის სიყვარულს თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისადმი, იმ ღონისძიებათა მოწონებას, რომლებიც მიღებულ იქნა პარტიის ლენინური ერთიანობის განსამტკიცებლად, რაც ჩვენი სამშობლოს წარმატებისა და აყვავების საწინდარია. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მსმენელთა გამოშვება

16 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მსმენელთა მორიგ გამოშვებას.

წელს სკოლა დაამთავრა 98 პარტიულმა, საბჭოთა და გაზეთის მუშაკმა. 21 კაცმა მიიღო წარჩინების დიპლომი.

კრება გახსნა სკოლის დირექტორმა დოცენტმა ვ. მელქაძემ.

სასწავლო წლის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა სკოლის დირექტორის მოადგილემ დოცენტმა ი. ლალაშვილმა.

სკოლადამთავრებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვეს გ. ნაჭყებიამ, ე. სვანიძემ, დ. კუჭავამ და სხვებმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. დოლიძემ. მან მიულოცა კურსდამთავრებულთ სწავლის დამთავრება და უსურვა მათ წარმატება პრაქტიკულ მუშაობაში. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პრეზიდენტი ხო ში მინი

17 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ევროპის ქვეყნებში გზად მიმავალი. გაიმართა გულთბილი მსჯელობა საუბარი.

საუბარს დაესწრნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან კინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ჯაკარტის მუნიციპალიტეტის დელეგაცია

17 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო ჯაკარტის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ჯაკარტის მერის ბ-ნ სუდიროს მეთაურობით, რომელიც მოსკოვში სტუმრად არის მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მოწვევით.

დელეგაციას ახლდა ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალექსანდერ ა. მარანისი.

ბ-ნმა სუდიროომ კ. ე. ვოროშილოვს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ინდონეზიაში იყო, გადასცა ჯაკარტის მოსახლეობის მხურვალე სალამი და კეთილი სურვილები. კ. ე. ვოროშილოვმა ბ-ნ სუდიროს სთხოვა გადასცეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ სუკარნოს უაღრესად გულითადი სალამი და სურვილები წარმატებისა სახელმწიფო მოღვაწეობაში, ქალაქ ჯაკარტის მცხოვრებთ და მათი სახით მეგობრული ინდონეზიის მთელ მოსახლეობას — მხურვალე სალამი.

საუბარს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. მაქსიმოვი. (საკდესი).

ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი სსრ კავშირის დედაქალაქში ჩამოვიდა

17 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი. ვნუკოვოს აეროდრომისაკენ მიმავალ მაგისტრალებზე ფრიალებდნენ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები, გაჭიმული იყო უზარმაზარი წითელი ტილოები, რომლებსაც პუშტუს, ფარსულ და რუსულ ენებზე ეწერა: „დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს მეგობრული ავღანეთი!“, „გაუმარჯოს ორი მეზობელი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ხალხთა მეგობრობას!“.

ვნუკოვოს აეროდრომის საფრენ მინდორზე შეგროვდა ასობით მოსკოველი. საპატიო სტუმრისა და მის თანამგზავრთა შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემხვდურთა შორის არიან მოსკოვში ავღანეთის საელჩოს პერსონალი, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

16 საათზე აეროდრომზე ძირს ეშვება საჰაერო ხომალდი „ტუ-104“. ტრაპზე ჩამოდის ავღანეთის სახელმწიფოს მეთაური მისი უდიდებულესობა მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი. თვითმფრინავიდან გამოდიან მასთან ერთად ჩამოსული ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ნაიმი და მეფის სხვა თანმხლები პირები.

ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელები ხელს ართმევენ მის უდიდებულესობას მუჰამედ ზაჰირ შაჰს და მის თანამგზავრებს. ბავშვებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს სტუმრებს. ჟღერენ ავღანეთის სამეფო ჰიმნისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდიები. მუჰამედ ზაჰირ შაჰმა კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს და გულთბილად მიესალმა მოსკოველებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვა წარმოთქვა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა.

ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და კ. ე. ვოროშილოვი სხდებიან ღია ავტომანქანაში, რომელზეც ფრიალებენ ავღანეთის, საბჭოთა კავშირის პატარა ალმები და მეფის შტანდარტი. მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით ისინი კრემლში გაემართნენ.

ქალაქში შესვლისას მთელ გზაზე მოსკოველები გულთბილად მიესალმებოდნენ ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურსა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი

17 ივლისს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება ევროპის ქვეყნებში.

ხო ში მინთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ხოანგ მინ ზიამი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თჰაკი.

დღის 2 საათზე ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, პრეზიდენტ ხო ში მინის გასაცილებლად შეიკრიბა მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

პრეზიდენტი ხო ში მინი გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ნ. ი. ბელიაევმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ო. ვ. კუუსინენმა, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. იბრაჰიმოვმა და სხვებმა. (საკდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 16 ივლისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით	რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები
ბათუმის	61,7	53,9	ს. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	53,7	38,9	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	54,5	53,6	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	55,7	42,4	
გალის	52,8	42,1	დ. გოგოხია, ხ. ტუფფარია
ოჩამჩირის	56,8	49,8	ჩ. აბგაჯი, ტ. სოსელია
გულრიფშის	68,7	72,5	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	64,7	60,8	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	52,0	35,8	დ. ხვარცია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	54,7	44,8	
მახარაძის	51,0	38,0	შ. ჭანტყვაძე, დ. საბაშვილი
ჩოხატაურის	55,9	46,2	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	53,8	46,2	დ. მაწყვანა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	49,9	36,7	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
წულუკიძის	38,7	26,6	ს. ლეკვა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	47,8	44,5	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	61,8	68,5	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	53,3	56,2	კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
ცხაკაიას	40,0	26,1	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	35,5	28,8	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	48,8	41,2	კ. ხუბულავა, გ. შერიზია
ზუგდიდის	48,2	39,1	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
წალენჯიხის	56,2	54,0	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	53,4	48,3	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	53,1	48,9	ი. წურწუმია, ს. ნასარაია
თერჯოლის	64,9	51,2	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	48,3	44,4	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	70,8	112,6	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	72,0	106,9	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	52,2	42,0	

ქობულეთის რაიონის ცნობები არასრულია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★

ორი ნოვატორის შეჯიბრება

საქართველოში სახელმოხვეჭილმა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორმა ხარატმა ილია ჭუმბურიძემ ამას წინათ წერილით მიმართა გამოჩენილ ლატვიელ ნოვატორ ხარატს რ. კლიავინშს, რომელიც რიგის ვაგონმშენებელ ქარხანაში მუშაობს, და წინადადება მისცა შეეჯიბრონ ერთმანეთს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში.

ი. ჭუმბურიძე თავის ლატვიელ მეგობარს სწერს:

— ჩვენი რესპუბლიკების დედაქალაქების — თბილისისა და რიგის მშრომელთა შეჯიბრებაში პირველი სიტყვა ჩვენ, წარმოების ნოვატორებმა უნდა ვთქვათ.

ჩემი ვალდებულებაა: ყოველთვიური დავალება შევასრულო 300-330 პროცენტით; დამოუკიდებლად მუშაობისათვის მოვამზადო ორი ახალმოსული მუშა; კვალიფიკაცია ავუმაღლო 12 ხარატს; დავამუშაო ორი რაციონალიზატორული წინადადება სულ ცოტა 3.000 მანეთის ყოველწლიური ეკონომიის მისაღებად, ავითვისო მოძრავი შემადგენლობის სამი სახელწოდების დეტალების დამუშავება მინერალურ-კერამიკული საჭრისებით; სანიმუშოდ მოწყობილი ვიქონიო სამუშაო ადგილი; 7 ნოემბრამდე მოვაწყო 3-4 მოხსენება ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის დარგში მიღებული გამოცდილების სხვებისათვის გადასაცემად.

რიგის ვაგონმშენებელი ქარხნის ნოვატორმა რ. კლიავინშმა ამხ. ჭუმბურიძისათვის გამოგზავნილ წერილში აღფრთოვანება გამოთქვა ამ წინადადების გამო და დამატებით იკისრა 7 ნოემბრამდე მეორე პროფესიის — ლითონმზეხავის ხელობის ათვისება.

რიგელი და თბილისელი ნოვატორი ხარატები შეუდგნენ ურთიერთთან ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

ვალდებულება განაღდებულია

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხის პირველი შახტის კოლექტივმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვა — საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებანი 4 თვით ადრე — 5 ივლისისათვის გაანაღდა.

მეშახტეებს 7 ნოემბრამდე გეგმის გადამეტებით უნდა ამოეღოთ დიდი რაოდენობით ქვანახშირი. 5 ივლისისთვის უკვე ამოღებული ჰქონდათ ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით 1.854 ტონა. თვითღირებულების შემცირების შედეგად უნდა დაეზოგათ 200.000 მანეთი, უკვე გასწიეს 220.000 მანეთის ეკონომია. გათვალისწინებული იყო შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით გადიდება, ფაქტიურად შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 13 პროცენტით. ძირითად სამთო გამონამუშევართა გაყვანის დავალება განაღდებულია 225.8 პროცენტით.

პირველი შახტის კოლექტივმა ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად დამატებითი ვალდებულებები იკისრა.

ავტობუსები მაღალმთიანი რაიონებისათვის

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოშემკეთებელმა სახელოსნომ ამ დღეებში გამოუშვა ახალი ტიპის 17-ადგილიანი კომფორტაბელური სამგზავრო ავტობუსები, რომლებიც გათვალისწინებულია მაღალმთიანი რაიონებისათვის.

ამ ტიპის ავტობუსის გამოშვება სახელოსნოს კოლექტივმა იკისრა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას. ჩვეულებრივი ავტობუსისაგან განსხვავებით ახალი ტიპის მანქანა მთლიანად შეფარდებულია მაღალმთიანი რაიონების რელიეფთან. იგი შედარებით ვიწრო და მოკლეა, ხოლო ძარა ჩვეულებრივზე მაღლა აქვს.

ახალი ტიპის ავტობუსის კონსტრუქციის შესამუშავებლად სახელოსნოს სპეციალისტები მეძარე გ. შიშინაშვილი და მთავარი ინჟინერი გ. ზალდასტანიშვილი მივლინებულ იქნნენ მთელი რიგი მთიანი რელიეფის გზებზე. მათ კარგად შეისწავლეს კერძოდ, ზუგდიდ-მესტიის გზა, ესაუბრნენ მოწინავე მძღოლებს, რომლებსაც უხდებათ ამ გზაზე მუშაობა. საჭირო მასალების დაგროვების შემდეგ შეუდგნენ სამგზავრო ავტობუსის უველაზე მეტად ხელსაყრელი კონსტრუქციის დამუშავებას, რესპუბლიკის მთიან რაიონებში სამუშაოდ ახალი ავტობუსების შექმნას. უკვე დამზადებულია 3 ასეთი ავტობუსი, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცა ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო კანტორას.

ახალი კონსტრუქციის სამგზავრო ავტობუსის შექმნასა და გამოშვებაში თავი ისახელეს სახელოსნოს მოწინავე მეძარეებმა გ. შიშინაშვილმა და მ. გაბელაიამ, მეთუნუქე გ. მაისაშვილმა და ზეინკალმა ა. ჩიკუნოვმა.

ავტოშემკეთებლებმა ვალდებულება იკისრეს ყოველთვიურად გამოუშვან ასეთი ავტობუსები, რომლებიც იმუშავებენ საქართველოს მაღალმთიანი რაიონების გზატკეცილებზე.

სურათზე: თბილისის ავტოშემკეთებელი სახელოსნოს მთავარი ინჟინერი გ. ზალდასტანიშვილი (მარჯვნიდან) და დირექტორი მ. სიმონიშვილი აბარებენ მანქანებს ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო კანტორის წარმომადგენელს ბ. კუხალეიშვილს.

ფოტო შ. გოკაძისა.

სადისპეტჩერო კოშკიდან

საშუალო ტანის, ხმელხმელმა, ჭაღარაშერეულმა დისპეტჩერმა ვიქტორ ვერულავამ ყურმილი აიღო:

— მორიგე ხარ? ვიქტორი ვარ. მატარებელი ნომერი 3204 მზად არაა... ჰო, მიიმე წონისაა! 140 ტონაა ნორმის გადამეტებით. ახლა შენ იცი როგორ გაამგზავრებ. ელმავალს ვის წაიყვანს? ოთარი! კარგია, არ გაუქირდება! ვიქტორმა ტელეფონის ყურმილი დადო და გვერდით მჯდომ ახალგაზრდას ოისებ მანძღლაშვილს მოუბრუნდა:

— შენ რას იტყვი, სოსო? მგონი ცუდად არ დავწყეთ ეს დღე.

— მეტი რა გინდა, საათნახევარია ცვლა ჩავიბარეთ, და ერთი მძიმე წონის შემადგენლობა მზად არის! ვის მიჰყავს?

— ოთარ ლიკლიკაძეს!

— ესეც კარგია. ოთარმა ასეთ საქმეზე უკანდახევა არ იცის.

ხელისგულივით ჩანს სადისპეტჩერო კოშკის ზემობაქნიდან ათეულ კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული თბილისის სატვირთო სადგურის ყოველი კუნჭული. დღეღამის განმავლობაში ერთი წუთითაც არ წყდება აქ მოძრაობა. ერთიმეორეს მისდევენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი ხე-ტყით, საშენი მასალებით, ტრაქტორებით, ავტომანქანებითა და სურსათით დატვირთული მატარებლები. მძიმედ, თითქოს ტვირთი ემძიმებათო, ფრთხილად მოასრიალებენ სამანეგრო ორთქლმავლები სხვადასხვა საუწყებო ჩიხებიდან თბილისელი ოსტატების ხელით გაკეთებული ჩარხებით, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით, შალისა და ბრეშუმის ქსოვილებით, ქართული ღვინითა და ხილით სავსე ვაგონებს. ცოტა ხნის შემდეგ ეს ვაგონები ერთ გრძელ შემადგენლობად გადაებმებიან ერთიმეორეს და გაუდგებიან შორეულ გზას ჩვენი თვალწვდენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქებისა და კუთხეებისაკენ, სადაც ჩვენი მიწის მადლსა და ბარაქას, ჩვენი მუშების ნახელავს მილიონობით მომხმარებელი მიელის.

თავბრუდამხვევი, ერთი შეხედვით თითქოს უწესრიგო მოძრაობა და ფუსფუსი, რომელიც სადგურის ტერიტორიაზეა, სინამდვილეში უელრესი სიზუსტით არის გაანგარიშებული, ერთ გონებას ემორჩილება. ამ მოძრაობის, ფუსფუსის, მოჩვენებითი უწესრიგობის დირიორი და წარმმართველი დისპეტჩერია.

ბევრი რამ არის დამოკიდებული დისპეტჩერის მუშაობაზე, მის სწრაფი მოსაზრების უნარსა და საქმის ცოდნაზე. მის სულ უბრალო შეცდომასაც კი შეუძლია საათობით შეაფერხოს სადგურის ნორმალური მუშაობა, წყალში გადაყაროს რამდენიმე ათეული ადამიანის დაძაბული შრომის ნაყოფი. ამიტომ არის, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე მოწინავე დისპეტჩერები განსაკუთრებულ პატივისცემით სარგებლობენ. ასეთი მოწინავე დისპეტჩერები თბილისის სატვირთო სადგურშიც ყავთ. ესენი არიან გ. ვერულავა, გ. ჯულუხიძე, გ. ოსტაშვილი.

მაგრამ მარტო დისპეტჩერი, რაგინდ დახელოვნებულიც უნდა იყოს იგი, ვერაფერს გააკეთებს, თუ მას მზარის არ უმაგრებენ მატარებელთა შემდგენელები და გადამბმელები, სამანეგრო ორთქლმავლების მემანქანეები, სადგურის მორიგეები. მეისრეები და მწოლავები.

თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივს ამ პროფესიების მოწინავე წარმომადგენლებიც ბლომად ჰყავს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან შემდგენელები ა. კაკაბაძე, ს. ჯანჯღალაშვილი და ი. მატვეენკო. სწორედ მათი წინადადებით განხორციელდა რამდენიმე სიახლე შრომის ორგანიზაციის დარგში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სადგურის მუშაობა. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ სადგურის ლიანდაგები მეშვიდედან მეთხუთმეტემდე, სადაც ხდება ვაგონების გადამუშავება, გაყოფილია ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ. ნაწილებად. აღმოსავლეთ ნაწილში ხდება აღმოსავლეთით გასაგზავნი ვაგონების, ხოლო დასავლეთის ნაწილში — დასავლეთის მიმართულებით გასაგზავნი ვაგონების გადამუშავება. ორივე ნაწილს დამოუკიდებელ უწევს მომსახურებას თითო მძლავრი სამანეგრო ორთქლმავალი, რომლებიც უკვე აღარ უშლიან ერთმანეთს, როგორც ეს წინათ ხდებოდა.

მოწინავე ადამიანების შემოქმედებითმა შრომამ საშუალება მისცა სადგურის კოლექტივს წარმატებით დაემთავრებინა წლის პირველი ნახევარი, პირნათლად გაენაღდებინა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები. რკინიგზელებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს დატვირთვისა და გადმოტვირთვის გასული თვეების გეგმები, მკვეთრად შეამცირეს ვაგონების მოცდენა. მარტო ივნისში აქ შეადგინეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 264 მძიმე წონის მატარებელი, რომლებთაც ნორმის გადამეტებით გადატანილ იქნა 96.181 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

...გრიალით შემოიჭრა ლიანდაგზე და სადისპეტჩერო კოშკის პირდაპირ შეჩერდა ნავთით სავსე ცისტერნების გრძელი წყება.

დისპეტჩერის ოთახში ზედიზედ აწკრიალდნენ ტელეფონები, ახმაურდა რაციო. რეკავდნენ სამორიგეოდან, სადგურის სხვადასხვა კუთხეებიდან, მითითებებს მოითხოვდნენ ორთქლმავლის მემანქანეები. დისპეტჩერმა ვ. ვერულავამ ორიოდე წუთში მოასწრო ყველასათვის პასუხის გაცემა, და შემდეგ ლიანდაგის მორიგეს შალვა ჯიმშელაშვილს მისცა განკარგულება.

— აქსტაფიდან შემოსული ცისტერნების შემადგენლობას უნდა დაუმატოთ კიდევ 500 ტონა!

— არის დავუმატოთ 500 ტონა!

დისპეტჩერი კვლავ რადიოს მოუბრუნდა, მითითება მისცა მემანქანეებს. გრძელდებოდა ბრძოლა ლიანდაგებზე საოქტომბრო შეჯიბრებაში გასამარჯვებლად.

შ. ცირეკიძე.

დაწინაურებული მაღარო

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები თავდადებულად შრომობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ნახევარი წლის დავალება ვადამდე შეასრულა და ნახევარ მილიონამდე მანეთი დაზოგა.

ეძვსი თვის დავალებები საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ამხ. დ. შეყილაძე, დ. ხვედელიძე, ს. შარიქაძე და გ. ცერცვაძე ხელმძღვანელობენ.

მშენებელთა წარმატება

ცხაკაია. (საკ. კორ.). ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ბეჯითად შრომობენ მეფრანველეობის ფაბრიკის მშენებლები. წელს უნდა შესრულებულიყო 1 მილიონ 800 ათასი მანეთის სამუშაო, უკვე შესრულდა 1 მილიონ 600 ათასი მანეთისა, რაც წლიური გეგმის 89,7 პროცენტს შეადგენს. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ქათმების გასაუქებელი საამქრო, სადაც მოწყობილია ხის 7 ბატარია 7.000 ფრთა ქათმისათვის. მზად არის საინკუბატორო განყოფილება. ჯერ კიდევ მაისში მთავარ საწარმოო კორპუსში მოაწყეს ალუმინის 10 გალია. აქ მოათავსებენ 5.500 კვერცხმდებელ ქათამს.

შრომაში დაწინაურდნენ დურგლები ქ. გვარამია და ე. ნაროუშვილი, მებათქაშეები ი. ახალაია, გ. ტოკარევი, მებეტონეები პ. კისელოვი, ი. ხარებავა და სხვები.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად

ერთიანი

საწარმოთა და კოლმეურნეობათა დახმარება

ქუთაისი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიის რაიონის მშრომელები და გაცხოველებული მუშაობა გააჩაღეს ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში. რაიონის სკოლების პირველ კლასებში მისაღებად უკვე აღრიცხულია 917 ბავშვი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა, შენობათა გაფართოების მიზნით სკოლებისათვის ახალი ოთახების მიშენება. გუმათჰესის მშენებელთა დაბაში უკვე დამთავრდა ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება შვიდწლიანი სკოლისათვის. გარდა ამისა, ჰესის მშენებლობამ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას გადასცა 28-ოთახიანი შენობა. სოფელ რიონში საშუალო სკოლისათვის აგებენ შენობას, რაზეც 450 ათასი მანეთი იხარჯება. მექვენის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სოფელ ვანისჭალის დაწყებითს სკოლას, რომელიც დღემდე დაქირავებულ ბინაში იყო მოთავსებული, გადასცა სასოფლო საბჭოს ყოფილი შენობა. ყველა ამ ახალ სასკოლო შენობაში 1 სექტემბრიდან დაიწყება მეცადინეობა.

საშუალო სკოლების შენობათა გაფართოებას — ახალი ოთახების მიშენებას უკვე შეუდგნენ სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარი“, ოფშკვითისა და კვახჭირის კოლმეურნეობები. ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობა წელს დაიწყებს საშუალო სკოლისათვის ახალი კაპიტალური შენობის აგებას. ქვიტირისა და გეგუთის საშუალო სკოლებში უკვე ამთავრებენ შენობებისა და ინვენტარის რემონტს.

პრაქტიკული ღონისძიებანი ხორციელდება პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად. რაისაბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატმა სოფელ დღნორისის საშუალო სკოლას გადასცა შენობა სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებისათვის. ოფურჩხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ამავე სოფლის საშუალო სკოლისათვის დაიწყო სასწავლო სახელოსნოს შენობის აგება. გეგუთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა საშუალო სკოლაში აწყობს სახელოსნოს და მანქანათმცოდნეობის კაბინეტს, ამასთან სკოლას გადასცემს ავტომანქანას. რაიონის სასკოლო კაბინეტები უკვე შეივსო 70 ათასი მანეთის სასწავლო მოწყობილობით, ხოლო ბიბლიოთეკები — 25 ათასი მანეთის ლიტერატურით. დაწყებულია სკოლებისათვის ახალი სასწავლო ინვენტარის გაკეთება.

არის ნაკლიც. სოფელ ნაგარევის შვიდწლიანი სკოლის შენობის რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ. სკოლის დირექცია (დირექტორი ვ. საკანდელიძე), სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ლ. ჭიჭინაძე) და კოლმეურნეობის გამგეები (თავმჯდომარე შ. ტყეშელაშვილი) სასწრაფო ზომებს არ იღებენ ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

ვალდებულებებს შესრულება უნდა

ჩვენი რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თელაველთა მოწოდებას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების შესახებ. ამ საკითხს მიეძღვნა საერთო კრებები კოლმეურნეობებში; გაიმართა აგრეთვე რაიონული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, სკოლების დირექტორები, განათლების სხვა მუშაკები. ამ კრებებსა და თათბირზე მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს დახმარებოდნენ სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში.

ზოგმა კოლმეურნეობამ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და სიტყვა საქმედ აქცია. სოფელ არგვიცის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა, რომ სასკოლო შენობას სამ ოთახს მიუმატებდა. ეს ვალდებულება არგვიცელებმა პირნათლად შეასრულეს. მალე ეს ოთახები საექსპლოატაციოდ გადაეცემა. სოფლების ხეითისა და აჩაბეთის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები ზ. დოკაძე და ა. მიკირტიჩიანი) ვალდებულება მოკლე დროში გაანაღდეს — შვიდწლიან სკოლებს თავიანთი სახსრებით და ძალებით გაუკეთეს კაპიტალური რემონტი. ასევე მოიქცნენ ძარელი კოლმეურნეები, რომლებმაც საშუალო სკოლის შენობას მიმდინარე რემონტი გაუკეთეს.

კოლმეურნეთა ასეთი თაოსნობა ენერგიას მატებს განათლების დარგის მუშაკებს, უადვილებს მათ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებას.

სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობა, ყველა თავმჯდომარე ასე როდი იქცევა. ზოგიერთ მათგანს ჰგონია, რომ თუ ვალდებულება იკისრა, საზოგადოების წინაშე საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, ამით ყველაფერი დამთავრდა. ავიღოთ თუნდაც სოფელ კეხვის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჭულუხაძე ყოველთვის ბევრს ლაპარაკობს სკოლისადმი დახმარებაზე. მან ვალდებულებაც იკისრა, რომ საშუალო სკოლისათვის კოლმეურნეთა ძალებით 6-ოთახიან სახელოსნოს ააშენებდა. სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა თვითონ მოიმარაგეს ქვა, ქვიშა, აგურიც შეძენილ იქნა. მათვე გათხარეს საძირკველი, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დღემდე აჭიანურებს მშენებლობას. კოლმეურნეობის კალატოზი კვირაში ორ დღეს თუ მუშაობს ამ საქმეზე. სასწავლო წელი ახლოვდება, სახელოსნოს კედლები კი მხოლოდ 1,5 მეტრზეა ამოყვანილი.

სოფელ სარბუკის კოლმეურნეობა ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე უნდა შესდგომოდა დაწყებითი სკოლის შენობის აგებას. მაგრამ დღემდე მშენებლობა არ დაწყებულა. ამავე კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ალბოროვი) ვალდებულება იკისრა საკუთარი ძალებით შეეკეთებინა სკოლის ძველი შენობა, მაგრამ დღემდე არც ეს სამუშაო შეუსრულებია.

სოფლების ვალითი-კაღუს, გრომის, ილტურის, ქერეს კოლმეურნეობებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება ჩაატარონ თავიანთი სკოლების რემონტი, ბევრ მათგანს თონდირებული მასალებიც კი მიეცა, მაგრამ საქმეს არ შესდგომიან.

რაიონულმა და საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რათა კოლმეურნეობებმა ნაკისრი ვალდებულებანი დროულად შეასრულონ.

კ. ჯიოევი,
სტალინირის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მოსავლის აღების დღეებში

პარტიული ცხოვრება

შირაქის ველზე დაძაბული შემოქმედებითი შრომის ცხარე დღეებია. მექანიზატორი თუ კოლმეურნე მხოლოდ ერთი ფიქრით და რწმენით მუშაობს: სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ უხვი მოსავალი, დროულად შეასრულონ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

პარტიული ორგანოების სისტემატიური სამეცადინო საქმეა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ბრძოლას დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში, მოსავლის აღების დღეებში განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული პარტიის რაიკომების, მათი ინსტრუქტორთა ჯგუფების წინაშე. პარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა წითლის მტს-ის ზონაში მოსავლის აღების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეადგინა კონკრეტული სამუშაო გეგმა, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანა მინდვრად, იქ, სადაც წყდება მოსავლის უდანაკარგოდ აღების ბედი. ინსტრუქტორთა ჯგუფმა მოაწყო მტს-ისა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეების, პროპაგანდისტების, აგიტატორების ზონალური თათბირები. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი საკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადებში, კომბაინის აგრეგატებთან, ჯალოებზე პრაქტიკულად ეხმარება კომუნისტებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ახლებურად გარდაქმნაში.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ კალოზე ლამაზად გაფორმებული აგიტპუნქტი მოაწყო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ გამოირკვა, რომ ზოგიერთი აგიტატორი საუბარს მოუმზადებლად აწყობდა, საველე გაზეთების გამოშვებაც გვიანდებოდა. კერძოდ, მემინდვრეობის ბრიგადაში აგიტატორი მ. ლეკაშვილი იშვიათად მართავდა საუბრებს. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის წითლის მტს-ის ზონაში შ. ლეკაშვილის დახმარების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, აგიტატორი შინაარსიან, საინტერესო საუბრებს აწყობს კოლმეურნეებთან. იგი მოურიდებლად ამხილებს ნაკლოვანებებს. აგიტატორმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მოსავლის აღების დაწყების პირველ დღეებშივე გამოვლინდა, რომ ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობა კომბაინებზე არ იყო საკმარისი. ადგილებზე საჭირო რაოდენობით არა ჰქონდათ მომზადებული საწვავი მასალის მისაზიდად რკინის კასრები. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის ჩარევის შემდეგ მტს-ის პარტორგანიზაციამ აღნიშნული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ გამოასწორა.

ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანებში მუშაობს კომბაინერი კომუნისტი ბ. ტოკლიკიშვილი. კომბაინერმა გადაწყვიტა 10 დღეში უდანაკარგოდ აეღო უხვი მოსავალი. მან აგრეგატი სადღეღამისო მუშაობაზე გადაიყვანა. მაგრამ გამოჩნდა ხელისშემშლელი მიზეზი. კომბაინთან ზორბლის დასაცლელად დროზე აღარ მიდიოდა ავტომანქანა, რაც იმის შედეგიც იყო, რომ ავტომანქანების მძღოლებთან შესუსტდა საგაგტაციო-მასობრივი მუშაობა. მტს-ის პარტბიურომ აღნიშნული ნაკლოვანება სასწრაფოდ გამოასწორა. ბ. ტოკლიკიშვილმა მალე სასახელო წარმატებას მიაღწია. 10 დღეში მას ვალდებულებით უნდა მოემკა 250 ჰექტარი პურის ყანა, ფაქტიურად კი რვა დღეში 420 ჰექტარი აიღო და 5.100 ცენტნერი ზორბალი გალეწა. ამ წარმატებისათვის მოწინავე კომბაინერს მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ასეთი კომუნისტები მტს-ში მრავალია. მათ შორის აღსანიშნავი არიან კომბაინერი კომუნისტები გ. დოლიძე და ს. ბელიანინი. კომუნისტებს უპარტიო კომბაინერები ვ. ნატროშვილი და ლ. სოლოვიოვიც როდი ჩამორჩებიან. ისინი დღეში 20-25 ჰექტარს მკიან.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მტს-ის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილების პროპაგანდას. პარტიის რაიკომის მდივანმა წითლის მტს-ის ზონაში ნ. მორდვინოვმა მოაწყო საუბარი თემაზე: „ჩვენი მტს-ის მოწინავე ადამიანები პურისათვის ბრძოლაში“. მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების საქმეში კარგად არის გამოყენებული „საბრძოლო ფურცლები“, კედლის გაზეთები. მტს-ის კედლის გაზეთს „წინ, კომუნიზმისაკენ“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია წერილი მოწინავე კომბაინერ კომუნისტ შ. მოსაშვილზე, რომელმაც ათ დღეში გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — 100 ჰექტარის ნაცვლად აიღო 240 ჰექტარი პურეული.

მინდვრად შესვენების საათებში მექანიზატორებთან მიმზიდველ საუბრებს აწყობენ რაიკომის ინსტრუქტორი შ. ლეკაშვილი, მტს-ის დირექტორი ვ. ფიცხელაური, მტს-ის პარტბიუროს მდივანი ი. მანგოშვილი, აგიტატორები ი. ნატროშვილი, გ. დოლიძე და სხვები.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მთავარ ყურადღებას აქცევს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, შემოწმების-შედეგებს ფართოდ აცნობს მექანიზატორებს. იგი გვერდში უდგას წითლის მტს-ის კოლექტივს კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის მტს-ის, წითელწყაროს რაიონის ქედისა და გამარჯვების მტს-ების კოლექტივებთან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში. გადაწყვეტილი აქვთ საოქტომბრო შეჯიბრების შესრულების შემოწმება მოამზადონ მოსავლის აღების დამთავრებისთანავე.

აღსანიშნავია, რომ პურის აღების გადამწყვეტ დღეებში რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კურსშიც არის. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის აღების დღეებში უხეში საკვების დამზადებისა და სილოსის ჩადების საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა დროზე შეამჩნია ეს. კოლმეურნეობისათვის დასახმარებლად გამოყოფილ იქნა 2 სასილოსე კომბაინი და ერთი სათიბი მანქანა. ამით პურეულის აღებასთან ერთად საკვების დამზადების სამუშაოებიც დაჩქარდა.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ზოგიერთ კოლმეურნეობაში, მათ შორის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაშიც, მოსავლის აღების დროს მარცვლეულის დანაკარგებია. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე და ბრიგადებში აგიტატორები სისტემატურად არ აწყობენ საუბრებს, დროულად არ გამოდის საველე ფურცლები.

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა დროზე უნდა გამოასწოროს ეს ნაკლოვანებანი, მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით უზრუნველყოს პურეულის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება.

ა. გოცირიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სურათზე: წითლის მტს-ის დირექტორი ამხ. ვ. ფიცხელაური მანქანა-ტრაქტორთა სადგურის გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს მოწინავე კომბაინერს, კომუნისტ ამხ. ბ. ტოკლიკიშვილს (მარცხნიდან მეორე).

ფოტო გ. გოგოხიასი.

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ

მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებანი

მცხეთის რაიონის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. გასულ წელს რაიონში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღეს 24 ცენტნერი ხორცი, 78 ცენტნერი რძე. ამასთან ყოველი ცენტნერის წარმოებაზე წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა შრომითი და ფულადი დანახარჯები.

ახლა, როცა გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მცხეთის რაიონის კოლეიეურნეებმა, კოლმეურნე ქალებმა, მტს-ის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელმა, მოწონებით მიიღეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. გავიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით წელსვე მნიშვნელოვნად გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ვადამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის შევასრულოთ ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები.

რაიონის მშრომელები ვალდებულებას ვკისრულობთ უკვე 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 30 ცენტნერი ხორცი, 107 ცენტნერი რძე. გავასუქებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 2.100 სულ ღორს. თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა იქნება 80 კილოგრამი. გასულ წელთან შედარებით ოთხჯერ და მეტად გავადიდებთ ღორის ხორცის წარმოებას.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო მაღალი ვალდებულებები იკისრეს.

სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოოს: 46 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 28 ცენტნერი ღორის ხორცი), 268 ცენტნერი რძე; სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ: 61,7 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 32 ცენტნერი ღორის ხორცი), 200 ცენტნერი რძე; სოფელ ნატახტრის კოლმეურნეობამ: 54 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 41 ცენტნერი ღორის ხორცი), 188 ცენტნერი რძე; სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ: 44 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 28 ცენტნერი ღორის ხორცი), 172 ცენტნერი რძე; სოფელ ნაოზის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ: 36 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 29 ცენტნერი ღორის ხორცი), 144 ცენტნერი რძე; სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადმა": 42,8 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 21,3 ცენტნერი ღორის ხორცი), 143 ცენტნერი რძე.

ამ ვალდებულებათა განაღდებისა და მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 27 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. დავამზადებთ 20 ათას ტონა სილოსს, შარშან კი დასილოსებული იყო 7 ათასი ტონა. დავაკონსერვებთ 2 ათას ტონა ტაროს. ნაწვერალზე დავთესავთ 1.000 ჰექტარ სიმინდს.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და პროდუქტების წარმოების საქმეში მთელი შესაძლებლობის უნარიანად გამოყენებით მივაღწევთ იმას, რომ 1960 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 50 ცენტნერი ხორცი, აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 27 ცენტნერი ღორის ხორცი, 255 ცენტნერი რძე.

მცხეთის რაიონის მშრომელები პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გარშემო, თავდადებით და შეუპოვრად იბრძოლებენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უნარიანად დარაზმავენ მასებს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის.

გ. სეხნიაშვილი — საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი; **ზ. მირზიაშვილი** — მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **ვ. ბერუჩაშვილი** — საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის მეორე მდივანი; **გ. მჭედლიშვილი** — რაიკომის მდივანი მცხეთის მტს-ის ზონაში; **ი. რუხაძე** — კომკავშირის მცხეთის რაიკომის მდივანი; **ა. კაკარავა** — მცხეთის მტს-ის დირექტორი; **თ. მიქელაძე** — მტს-ის უფროსი ზოოტექნიკოსი; **ა. ბარიხაშვილი** — მტს-ის მთავარი აგრონომი; **ა. კოხრეიძე** —მტს-ის მთავარი მექანიკოსი; **ს. თოხაძე** — მტს-ის პარტბიუროს მდივანი; **დ. ნავდარაშვილი** — რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" რედაქტორი; **შ. პაპავაძე** — სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **გ. არჯევანიძე** —სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ი. ბეგოიძე** —სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ი. ასლანიშვილი**— სოფელ ჩარდახის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **დ. ბიდუკაძე** — სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის" თავმჯდომარე; **ვლ. ახალაშვილი** —სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ა. ბურდული** — სოფელ ნატახტრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **გ. ელიაშვილი** — სოფელ ნაოზის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ნ. გელაშვილი** — სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი; **ს. მელაძე** — სოფელ ჩარდახის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი; **ა. ლაშაური** — სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე; **ვ. უნდილაშვილი** — სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის" ფერმის გამგე; **ო. ელიაშვილი** — სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე.

გავაფართოებთ ფრინველის ხორცის წარმოებას

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივის ახალი ვალდებულებები

საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს კომუნისტური პარტიის მოწოდების განსახორციელებლად, იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ.

ხორცის წარმოების საერთო ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს მეფრინველეობა წარმოადგენს.

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკაში ათასობით გვყავს მაღალპროდუქტიული კვერცხმდებელი დედალი, რომლებიც წლის განმავლობაში 250-260 კვერცხს იძლევიან. თუ თვითეული კვერცხმდებელი ქათმის ყველა კვერცხს ინკუბატორისათვის გამოვიყენებთ, ერთ დედალზე წელიწადში შეიძლება გავზარდოთ 100-მდე წიწილა. ხუთი თვის ასაკში მათი ცოცხალი წონა საშუალოდ 1,5 კილოგრამამდე მიაღწევს, ანდა თვითეული კვერცხმდებელი ქათმისაგან წლის განმავლობაში შეიძლება მივიღოთ 150 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ხორცი. ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წელს ხორცის გამოსაღლიანობა გაადიდოს 2.250 ცენტნერამდე, ანუ გასული წლის მონაცემებს გადააჭარბოს 377 ცენტნერით.

1960 წლისათვის ფაბრიკა 3,5 ათას ცენტნერამდე ფრინველის ხორცს აწარმოებს, თითქმის ორჯერ მეტს 1956 წელთან შედარებით.

მომავალი წლისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ გავზარდოთ 350 ათასი წიწილა. ეს 120 ათასი ფრთით მეტია, ვიდრე გამოყვანილი და გაზრდილი იქნება მიმდინარე წელს. ბევრად გაიზრდება ძირითადი კვერცხმდებელი ფრინველის რაოდენობა. ორი წლის შემდეგ ფაბრიკაში იქნება სულ ცოტა 50 ათასი კვერცხმდებელი ქათამი, ნაცვლად ამჟამად არსებული 35 ათასისა.

ვალდებულება ვიკისრეთ მომავალი ორი წლის განმავლობაში წარმოების შემდგომი მექანიზაციითა და შრომითი დანახარჯების შემცირებით ფრინველის ხორცის თვითღირებულება შევამციროთ 25 პროცენტით, კვერცხისა კი — 20 პროცენტით.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი თავის მოვალეობად თვლის აფხაზეთის კოლმეურნეობებს საგრძნობი დახმარება გაუწიოს მეფრინველეობის აღმავლობის საქმეში.

პირველ რიგში უკვე მიმდინარე წელს კოლმეურნეობებისათვის საინკუბაციო სადგურებს მივყიდით 200 ათას სანაშენო კვერცხს. ფაბრიკა მომავალი წლისათვის სანაშენო კვერცხის გაყიდვას გაადიდებს 500 ათას ცალამდე, ანუ სამნახევარჯერ. მეტად, ვიდრე გასულ წელს.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ მიმდინარე წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გავზარდოთ 20 ათასი წიწილა ხუთი თვის ასაკამდე. ეს დიდად გაუადვილებს კოლმეურნეობებს მოზარდეულის შემდგომ გაზრდას, შესაძლებლობას მისცემს მათ დააკომპლექტონ თავიანთი ფერმები მაღალპროდუქტიული სანაშენო ფრინველით და ამით საგრძნობლად გაადიდონ ფრინველის ხორცის წარმოება.

მომავალ წელს კი კოლმეურნეობებს გადავცემთ ფაბრიკაში 20 დღის ასაკამდე გაზრდილ 40 ათას წიწილას.

ცნობილია, რომ სანაშენო, სხვადასხვა ჯიშების შეჯვარებით მიღებული ფრინველის თაობა 10-15 პროცენტით უმატებს კვერცხდებას და ასეთი ქათმების ცოცხალი წონა 30-40 პროცენტით იზრდება.

ამიტომ არის, რომ ჩვენი კოლექტივი ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გაზარდოს კოლმეურნეობებისათვის 20 დღის ასაკამდე სანაშენო, სხვადასხვა ჯიშების შეჯვარებით მიღებული მოზარდეული.

ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ და მიმდინარე წელს ყოველგვარ ზომებს მივიღებთ იმისათვის, რომ გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ ბზიბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობების მეფრინველეობის ფერმები დავაკომპლექტოთ ათას-ათასი ფრთა მაღალპროდუქტიული კვერცხმდებელი ქათმით. მომავალი წლისათვის კი განზრახული გვაქვს აფხაზეთის ათ კოლმეურნეობაში დავაკომპლექტოთ ასეთი ფერმები თითო ათი ათასი ფრთა კვერცხმდებელი ქათმით.

ჩვენი ფაბრიკა მთელ ძალღონეს და ყველა შესაძლებლობას მოახმარს იმას, რომ გაზარდოს და მომავალი წლიდან კოლმეურნეობებს ყოველწლიურად მიჰყიდოს სულ ცოტა 30 ათასი სანაშენო მოზარდეული. ამასთან ერთად საინკუბაციო სადგურებისათვის სანაშენო კვერცხების მიყიდვა გაიზრდება 500 ათას ცალამდე წელიწადში.

თუ მიმდინარე წელს მიღებული კვერცხების საერთო რაოდენობა ფაბრიკაში 5 მილიონ ცალს მიაღწევს, 1960 წლისათვის ეს რაოდენობა 7,2 მილიონამდე გაიზრდება.

ნ. ფანცულაია—გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, **ა. იგნატიევი** — პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, **ც. იოსელიანი** — მთავარი ზოოტექნიკოსი, **ა. ვორობიოვი** — მეფრინველე, **ე. გოროდეცკაია** — მეწიწილე, **კ. მირონოვი** — მოზარდეულის საამქროს გამგე, **ვ. კროკოროვი** — ინკუბაციის საამქროს უფროსი ოპერატორი.



ქართლის რაიონებში მიმდინარეობს პიონერიის ზოსავლის მასობრივი აღება. ქარელის რაიონის სოფელ რუისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში მოსავალს იღებს ექვსი კომბაინი. **სურათზე:** ქარელის კულტურის სახლის ახალგაზრდათა საგიტაციო-მხატვრული ბრიგადის გამოსვლა სოფელ რუისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერვე ბრიგადის სამუშაო ადგილზე.

ფოტო ს. ონანოვისა (საქდესას ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით გუშინ, 17 ივლისს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ-შაჰი. ეს ვიზიტი მოწმობს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის სიმტკიცეს, რაც საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის პირველი წლებიდან არსებობს. ეს ვიზიტი, როგორც ავღანურმა გაზეთმა „ისლაჰმა" აღნიშნა, იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც შესძრა აღმოსავლეთის ხალხები და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმა ისინი, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა აზიის ქვეყნებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირს ესაზღვრებიან. ავღანეთმა, რომელიც XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ინგლისის მთავრობის კონტროლქვეშ იმყოფებოდა, მაშინვე არათანასწორუფლებიან კაბალურ ხელშეკრულებათა ბორკილი, რომლითაც შებოჭილი იყო, და მტკიცედ განაცხადა, რომ ამიერიდან იგი ამირებს გახდეს „თავისუფალი და დამოუკიდებელი და ისარგებლოს ყველა უფლებით, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოებს აქვთ".

ავღანეთის მთავრობამ, რომელმაც 1919 წლის დამდეგს თავის ხელში აიღო თავისი ქვეყნის ბედი, 1919 წლის 7 აპრილს წერილით მიმართა ვ. ი. ლენინს, რომლითაც საბჭოთა რუსეთს, „რომელმაც გამოაცხადა მთელი მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი", სთავაზობდა თავისუფალი ავღანეთის კავშირსა და მეგობრობას. საპასუხო წერილში, რომელიც ინგლის-ავღანეთის ომის დღეებში დაიწერა, ვ. ი. ლენინი მუშურ-გლეხური მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მიესალმებოდა დამოუკიდებელ ავღანელ ხალხს და სთავაზობდა დაემყარებინათ მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასა და ავღანეთს შორის. ეს, აღნიშნავდა ლენინი, შექმნის ორივე ქვეყნის ურთიერთდაზმარების ფართო შესაძლებლობას უცხოელ მტაცებელთა მხრივ ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ.

1919 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ გაანადგურა თეთრგვარდიელები, აღადგინა მიმოსვლა ცენტრალური რუსეთსა და შუა აზიას შორის, ავღანეთის პირველი ელჩი ჩამოვიდა. მოსკოვში და მიიღო ვ. ი. ლენინმა, რომელიც მას მიესალმა როგორც მეგობარი ავღანელი ხალხის წარმომადგენელს. იმავე წლის დეკემბერში ქაბულში გაემგზავრა საბჭოთა საგანგებო მისია, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკება ავღანეთის მთავრობასთან „სავაჭრო და სხვა მეგობრულ ხელშეკრულებათა" დადების შესახებ.

მიუხედავად იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარი ღონისძიებისა არ დაეშვათ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის განმტკიცება, 1921 წლის 28 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის მეგობრულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობამ ღირსეულად გაუძლო წარსული წლების ყველა განსაცდელს. ძირითადი პრინციპები, რომლებსაც შეიცავდა 1921 წლის ხელშეკრულება, შემდეგში განვითარდა, გაფართოვდა და განმტკიცდა მთელი რიგი ახალი ხელშეკრულებებით, რომლთაგან თვითეული ემსახურებოდა მშვიდობისა და ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ინტერესებიანურ უზრუნველყოფის საქმეს. 1926 წლის 31 აგვისტოს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. ამავე პრინციპებით იყო გამსჭვალული საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულება, რომელიც 1931 წელს დაიდო და განგრძობილ იქნა 1955 წლის 18 დეკემბერს, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ავღანეთში ყოფნის დროს.

საბჭოთა კავშირის ხალხები მუდამ დიდი პატივისცემით და სიმპათიით ეპყრობოდნენ მამაც და შრომისმოყვარე ავღანელ ხალხს და დიდად აფასებდნენ მის მისწრაფებას მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისადმი. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ავღანეთში ყოფნის დროს 1955 წლის 15-19 დეკემბერს, აგრეთვე 1956 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის ვიზიტის დღეებში.

მხურვალე მიღებამ, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელებს მოუწყეს როგორც ავღანეთის ოფიციალურმა წრეებმა, ისე ფართო საზოგადოებრიობამ, ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობა დამყარებული გულწრფელი მეგობრობისა და ღრმა პატივისცემის მტკიცე და ჯანსაღ საფუძველზე.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ქაბულში ყოფნის დროს ყოველმხრივ განხილულ იქნა ავღანეთისა და სსრ კავშირის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის საკითხები. სსრ კავშირის მთავრობამ პრინციპული თანხმობა განაცხადა ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაუწიოს ავღანეთს მისი ეკონომიკის განვითარების პროგრამის განხორციელებაში, და ამ მიზნით დათანხმდა მიეცა მისთვის 30 წლის ვადით სესხი 100 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით. ავღანეთის მთავრობამ დიდი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მთავრობას დახმარებისათვის, რომელიც მან იკისრა გაუწიოს ავღანეთს.

აღნიშნული სესხის რეალიზაციის წესით, აგრეთვე ტექნიკური დახმარების შესახებ წინათ დადებულ შეთანხმებათა განსახორციელებლად საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა და უწევს ავღანეთს სოფლის მეურნეობის განვითარების, ენერგეტიკულ, სამრეწველო საწარმოთა შენებლობის დარგში, გზათა ქსელისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესებისა და გაფართოებაში, ავღანეთის ქალაქების კეთილმოწყობაში. მოკლე ვადაში—20 თვის განმავლობაში — საბჭოთა სპეციალისტების ხელმძღვანელობით ქაბულში აიგო პურის კომბინატი, აღმურვილი უახლესი მანქანებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან მთლიანად მექანიზებულ იქნას მთელი საწარმოო პროცესი, დაწყებული მარცვლის მიღებით და დამთავრებული მზა პროდუქციის გამოშვებით. მთელ საშენ მანქანებსა და მასალებს. აგრეთვე ტექნოლოგიურ, ელექტროძალოვან და სხვა მოწყობილობას აწვდიდა საბჭოთა კავშირი.

1957 წლის დამდეგს ავღანეთის პრესა იუწყებოდა ავღანეთის ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შესახებ. ამ გეგმით დასახულია მთელ რიგ დიდ საირიგაციო ნაგებობათა შენებლობა მდინარე კუნდუზზე, კოჩაზე, გილმენდის ველზე, ჯელალაბადის არხის, აგრეთვე მთელი რიგი კაშხლების აგება. ამ ობიექტების შენებლობა საშუალებას იძლევა ათვისებულ იქნას სულ 1.250 ათასამდე ჯერიბი (ჯერიბი უდრის 0,19 ჰექტარს) ახალი მიწები და ამით გაფართოვდეს ავღანეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოება. გარდა ამისა, გეგმით გათვალისწინებულია ახალი გზების შენებლობა და უკვე არსებულთა გაუმჯობესება, აეროდრომებისა და სამდინარო ნავსადგურების მოდერნიზაცია, მსუბუქი მრეწველობის ახალ საწარმოთა შექმნა და არსებულთა გაფართოება, ახალი სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების შენებლობა, სამეცნიერო ცენტრების შექმნა და სხვ. საერთო ხარჯები ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია დაახლოებით 12 მილიარდი ავღანის რაოდენობით, ამასთან 2 მილიარდზე მეტი მოხმარდება საირიგაციო სისტემის გაფართოებას.

ცდილობს რა განამტკიცოს და უზრუნველყოს ავღანეთის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა, ავღანეთის მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს ნეიტრალიტეტისა და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს, ყოველ ღონეს ხმარობს მოახდინოს ლაკვდაცია ავღანეთის ეკონომიური ჩამორჩენილობისა, რომელიც გარე სამყაროსაგან მისი ხანგრძლივი იზოლაციისა და ავღანეთის საშინაო საქმეებში იმპერიალისტთა უხეში ჩარევის შედეგია. საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომელიც მუდამ გულწრფელ დამოკიდებულებას იჩენს მეზობელი მეგობარი ავღანელი ხალხისადმი, დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს წარმატებებს, რომლებიც მან მოიპოვა ცხოვრების სხვადასხვა დარგში და ახალ გამარჯვებებს უსურვებს მას ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საქმეში.

ა. სტუპაკი.

• • •

ავღანეთის დედაქალაქი ქაბული ამ ქვეყნის უდიდესი ქალაქია. მისი მოსახლეობა 250 ათას კაცს აღემატება. ქაბული დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი და გზების კვანძია. 1955 წელს გაჩაღდა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აგებულ იქნა ასფალტბეტონის ქარხანა და დაიწყო ქალაქის მთავარი ქუჩების მოასფალტება. სურათზე: ქაბულის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.

ფოტო ბ. შერისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ტურისტულ ბაზებში

ტურისტული მოგზაურობა ჯანსაღი დასვენების ერთ-ერთი სახეა. იგი ხელს უწყობს მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას და ფიზიკურ გამოწრთობას, უვითარებს ადამიანებს სიმამაცეს, მოხერხებულობას, ნებისყოფას, ამხანაგობის გრძნობასა და ყურადღებას, ამავე დროს წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს შესწავლის საუკეთესო საშუალებას.

ამიტომ არის, რომ ტურიზმის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ყოველწლიურად იხსნება ახალი ტურისტული ბაზები.

საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება მრავალ ტურისტს იზიდავს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა კავშირის ტურისტული მარშრუტების მეექვსედზე მეტი — 17 საკავშირო მნიშვნელობის მარშრუტი ჩვენს რესპუბლიკაზე მოდის.

ტურისტთა და ექსკურსანტთა მომსახურებისათვის საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს აქვს 15 ტურისტული ბაზა 9 ფილიალით, რომლებიც გაწანილებულია ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოს ტურისტულ ბაზებში მოწყობილი ექსკურსიები, ლაშქრობები, გასეირნებანი, სპორტული შეხვედრები, ურთიერთგაცნობის საღამოები, თვითმოქმედი წრეების გამოსვლები, ტურისტული კოცონები, ხალხთა მეგობრობის საღამოები ხელს უწყობენ ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობის განმტკიცებას. ამას ცხადყოფს ის წერილებიც, რომლებსაც იღებენ ჩვენი რესპუბლიკის ტურისტული ბაზები ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

ამ რამდენიმე ბნის წინათ მცხეთის ტურბაზამ ჩინელ მაო ცენ-ცუნისაგან მიიღო გულთბილი წერილი. კმაყოფილებას გამოთქვამს რა ქართველი ხალხის ისტორიის, არქიტექტურული ძეგლების, ხალხის კულტურისა და ზნეჩვეულების გაცნობის გამო, იგი წერს:

— სამუდამოდ დამრჩება მეხსიერებაში ის, თუ რა სამაგალითოდ და გულისხმიერად მიგვიღეს ჩინელი ტურისტები საქართველოში. პირველი დღეებიდანვე მოვექეცით ნამდვილად გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში, რაც ყველა ჩვენგანს ახარებდა. გვიწვიეთ თქვენც ჩვენს სამშობლოში — ჩინეთში, ვეცდებით პატივისცემა მეგობრული სტუმართმოყვარეობით გადაგიხადოთ.

ასეთივე მადლიერების გრძნობით იგონებენ საქართველოში გატარებულ დღეებს თავიანთ წერილებში ჩეხი ალ ნემეცი, ალბანელი გაბრიელ ბაკი, უნგრელი მაიუს მიკოლოში, გერმანელი ჰანს უნელიკერი, პოლონელი ბაზილაკ ბლადიკე, კორეელი მენ სინ კანი და სხვ.

საქართველოს ტურისტულ ბაზებში ხეზონი სხვადასხვა დროს გაიხსნა. 17 აპრილს მიიღო ტურისტთა პირველი ჯგუფები სოხუმის ტურბაზამ. ეს ბაზა თავისი მოცულობით ყველაზე დიდია რესპუბლიკაში და მასში თავს იყრის ექვსი მარშრუტი.

4 მაისს ხეზონი გაიხსნა მწვანე კონცხის ტურისტულ ბაზაში. ხეზონი გაიხსნა და ტურისტთა ახალ-ახალ ჯგუფებს იღებენ თბილისის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, ბათუმის, ბორჯომის, ყაზბეგის და სხვა ტურბაზები. ახალი 50-საწოლიანი ტურისტული ბაზა მოეწყო ზუგდიდში, ახი საწოლით გადიდდა ბიჭვინთის და ორმოცდაათით — ბორჯომის ტურბაზები.

წლევანდელი ხეზონის დაწყებიდან დღემდე ყველა მარშრუტით საქართველოს ტურბაზებშე საგზურებით გაიარა 15 ათასზე მეტმა ტურისტმა. ყოველდღიურად საქართველოს ტურისტთა ბაზებში იმყოფება 2.600-ზე მეტი ტურისტი.

ტურბაზები წელს კარგად მოემზადნენ სტუმრების შესახვედრად, ყველა პირობა შექმნეს ტურისტთა და ექსკურსანტთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის. აწყობენ მოხსენებებს, საუბრებს, კოლექტიურ ხელას კინოთეატრებში, ლაშქრობებს. ტურისტების განკარგულებაშია 40-მდე კომფორტაბელური ავტომანქანა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ხერიოზული ნაკლი: სავაჭრო ორგანიზაციები ვერ ამარაგებენ ტურისტულ ბაზებს კვების პროდუქტების სათანადო ასორტიმენტით, რაც ტურისტთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

იმ ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის, რომლებიც საკუთარი ავტომანქანებით მოგზაურობენ, შავი ზღვის სანაპიროზე გაიხსნა და მუშაობს ექვსი პანსიონატი. ისინი ერთდროულად მოემსახურებიან ათასამდე ტურისტ-მოგზაურს. პანსიონატებს აქვთ კეთილმოწყობილი სასტუმროები, კაფე-რესტორანები, ავტომანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები, მანქანების სადგომი ადგილები.

წელს საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს ტურისტული ბაზები თავიანთი ფილიალებით მომსახურებას გაუწევენ 60 ათასამდე ტურისტს და 350 ათას ექსკურსანტს.

ა. ჯანჯღავა,
საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

• • •

ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მრავალი საინტერესო ექსპონატი — პანოები, ჭურჭელი, წარსული ცხოვრების ამსახველი მასალები. მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები. **სურათზე:** ტურისტების ერთი ჯგუფი ათვალიერებს ექსპონატებს.

ფოტო შ. გოკაძისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში

ვ. ა. ზორინის სიტყვა

ლონდონი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა გააკრიტიკა შეერთებული შტატების მიერ შეტანილი წინადადებანი.

ქვეკომიტეტის 12 ივლისის სხდომაზე, განაცხადა მან, შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბ-ნმა სტასენმა შეაჯამა იმ პოზიციის ჩამოყალიბების შედეგები, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებს უკავიათ ატომური და წყალბადის იარაღის საკითხში. რეზიუმე გაუკეთა რა შეერთებული შტატების პოზიციასა და წინადადებებს, ბ-ნმა სტასენმა ჩამოთვალა 5 პუნქტი, რომელთა გახორციელების თანახმა არიან შეერთებული შტატები. მაგრამ ეს პუნქტები, როგორც ამის შენიშვნა ძნელი არ არის სხდომის ოქმის მიხედვით, ამოიწურებოდა შიშველი ფორმულებით, რომლებიც სრულიადაც არ გვიჩვენებდნენ შეერთებული შტატების პოზიციის არსს. ასეთი რეზიუმე ოდნავაც არ უწყობს ხელს შეერთებული შტატების პოზიციის გარკვევას და არ აადვილებს ურთიერთმისაღები შეთანხმების გამონახვის ამოცანას. მას სიცხადე კი არ შეაქვს საქმის ვითარებაში, არამედ უფრო შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

ამერიკის პოზიციის არსი ყველა იმ პუნქტის შესახებ, რომლებიც ბ-ნმა სტასენმა ჩამოთვალა, დამალულია განცხადებაში იმის შესახებ, რომ „ყოველივე ეს უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ დეტალურ ღონისძიებებს, ისე რომ არსებობდეს ინსპექციის შესაბამისი მეთოდები და ზუსტ შეთანხმებათა საშუალებით, რომლებიც ჩვენი აზრით, იქნება საღი და უზრუნველყოფილი და შეესაბამება ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს ურთიერთ ინტერესებს“.

თუ ბ-ნ სტასენის მიერ მოყვანილ პუნქტებს გავშიფრავთ ამ განცხადების მიხედვით, შეერთებული შტატებისა და დასავლეთის იმ სახელმწიფოთა პოზიცია, რომელიც მათ უჭერენ მხარს, სხვანაირია, ვიდრე ის პოზიცია, რომელზეც ბ-ნ სტასენის ფორმულები ლაპარაკობენ.

ბ-ნ სტასენის პირველ პუნქტში ნათქვამია: „შეწყდეს გამოცდა“. ამ საკითხის რა გადაჭრას მოითხოვენ შეერთებული შტატები და რა გადაჭრას მოითხოვს საბჭოთა კავშირი?

შეერთებული შტატები მოითხოვენ შეჩერდეს გამოცდა 10 თვის ვადით, რაც სრულიადაც არ შეუშლის ხელს მორიგი გამოცდის მომზადებას უკვე მიღებული პროგრამების შესაბამისად, და ასეთ შეჩერებას განაპირობებენ შეთანხმებით განიარაღების სხვა საკითხებზე (შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება, საშხედრო მიზნებისათვის ხელჩადი მასალების მომავალი წარმოების შეწყვეტა და ამისადმი კონტროლის მთელი რთული სისტემა), რომელთა გადაჭრასაც ჯერ კიდევ ებრაელებს მნიშვნელოვანი სიძნელეები, რაც თვით დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციიან გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის წინადადებაა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება იმის შეწყდეს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა ორი-სამი წლით (ამასთან დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები სსრ კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისის ტერიტორიაზე და წყნარი ოკეანის რაიონში), ისე რომ ეს არ დაუკავშირდეს განიარაღების სხვა პრობლემების გადაჭრას და არ დაელოდონ მათ გადაჭრას.

ბ-ნ სტასენის მეორე პუნქტში ნათქვამია: „შეწყდეს ბომბების წარმოება“.

რა პოზიციებს იკავებენ შეერთებული შტატები და სსრ კავშირი ამ საკითხში? შეერთებული შტატები, როგორც ცნობილია, არ მოითხოვენ, რომ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება. მათი პოზიცია ამ საკითხში იმით ამოიწურება, რომ ისინი მოითხოვენ მოხდეს შეთანხმება საშხედრო მიზნებისათვის ხელჩადი მასალების მომავალი წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამასთან შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სახელმწიფოებს კვლავაც ჰქონდეთ უფლება აწარმოონ და გაუმჯობესონ ატომური იარაღი უკვე დაგროვებული ხლეჩადი ატომური მასალებისაგან.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს შეწყდეს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება. იმისათვის, რომ ამ ღონისძიებას რეალური მნიშვნელობა ჰქონდეს ატომური ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მას უნდა მოჰყვეს ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა, ამ იარაღის ამოღება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან და მისი მთელი არსებული მარაგის მოსპობა.

სწორედ ამ გადაწყვეტილებას მოითხოვს საბჭოთა კავშირი. თუ დასავლეთის სახელმწიფოები ჯერ არ არიან მზად მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება, სსრ კავშირი მზად არის იკისროს ვალდებულება — დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი, რათა შემდგომში მიღწეულ იქნას ასეთი შეთანხმება.

ბ-ნ სტასენის მესამე პუნქტში ნათქვამია: „დაიწყოს ბომბების გამოყენება ძალადგურთა საჭიროებებისათვის“.

რას მოითხოვენ შეერთებული შტატები ამ საკითხში და რას მოითხოვს საბჭოთა კავშირი? შეერთებული შტატები მოითხოვენ განხორციელდეს ხლეჩადი მასალების თანდათანობით გადაცემა სამშვიდობო მიზნებისთვის. ამავე დროს ისინი გადაჭრით ამბობენ უარს ატომური და წყალბადის იარაღის სრულ ამოღებაზე სახელმწიფოთა შეიარაღებიდან.

საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია ატომური და წყალბადის იარაღის სრული ამოღება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან, რათა მთელი ხლეჩადი მასალები გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის, ატომის ელექტროსადგურების საჭიროებებისათვის, ტრანსპორტზე და სხვ. ჩვენი წინადადებანი ამის შესახებ შეტანილია ქვეკომიტეტის განსახილველად.

ბ-ნ სტასენის მეოთხე პუნქტში ნათქვამია: „არასოდეს არ მიმართონ ატომგუნის იარაღს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიისათვის“.

ამ საკითხის რა გადაწყვეტას გვთავაზობენ შეერთებული შტატები და როგორ მოითხოვს ამ საკითხის გადაწყვეტას საბჭოთა კავშირი? შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები უარს ამბობენ იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი. ისინი ამართლებენ მის გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის, მიაჩნიათ რა იგი „დაშნების“ ძირითად იარაღად. ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებაზე უარის ფორმულებს, რომელიც მათ შემოაქვთ, თან ახლავს შენიშვნები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ყოველ სახელმწიფოს ნებისმიერად თავისი შეხედულებისამებრ, მიმართოს ატომურ იარაღს თავდაცვის საბაბით მაშინ, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ახლავე იკისრონ საქვეყნოდ ვალდებულება არ გამოიყენონ რაიმე სახის ატომური და წყალბადის იარაღი სამხედრო მიზნებისათვის.

ბ-ნ სტასენის მეხუთე პუნქტში ნათქვამია: „ქვლავაც განხორციელდეს უაღრესად დიდი ღონისძიებანი შეთანხმების მისაღწევად ვანიარაღების ფართო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც მოჰყვება ხელშეკრულებას პირველი ნაბიჯის შესახებ“.

ჩვენ ვიზიარებთ შეერთებული შტატების განცხადებას, რომ საჭიროა მივაღწიოთ ფართო შეთანხმებას განიარაღების შესახებ.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და ახლაც არის განიარაღების პრობლემის რადიკალური გადაჭრის მომხრე. ქვეკომიტეტის ახლანდელ სესიაზე ჩვენ 18 მარტს შემოვიტანეთ წინადადება, რომელიც შეიძლებოდა გამომდგარიყო განიარაღების შესახებ ფართო შეთანხმების საფუძვლად.

საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რათა გაადვილოს, ასეთი შეთანხმების მიღწევა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სოფია, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა.

ცნობაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 11 და 12 ივლისს გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმს ესწრებოდნენ აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები. პლენუმმა განიხილა ამხ. გ. ჩანკოვის ანტიპარტიული საქციელის საკითხი. ამავე დროს განხილული იყო ამხანაგების დობრი ტერპეშევისა და იონკო პანოვის ანტიპარტიული საქმიანობა.

პლენუმზე გამოსულმა ყველა ამხანაგმა მკვეთრად დაგმო გ. ჩანკოვის, დ. ტერპეშევისა და ი. პანოვის ანტიპარტიული საქციელი.

პლენუმმა ერთხმად გაიყვანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხ. გ. ჩანკოვი იმისათვის, რომ იგი ფრაქციული მოქმედებით სისტემატურად ძირს უთხრიდა პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ერთიანობასა და კოლეგიურობას და ახორციელებდა პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო ხაზს.

პლენუმმა ერთხმად გაიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხანაგები დ. ტერპეშევი და ი. პანოვი იმისათვის, რომ ისინი, მიუხედავად სასტიკი გაფრთხილებისა, განაგრძობდნენ ცენტრალური კომიტეტის, პარტიული ხაზისა და პარტიის ერთიანობის საწინააღმდეგო საქმიანობას.

პლენუმმა შეავსო ცენტრალური კომიტეტი: ცენტრალური კომიტეტის წევრებად აირჩია ამხანაგები ბ. ვაპცაროვი, ლუბენ გერასიმოვი, მიტკო გრიგოროვი, მიშო ნიკოლოვი, პენჩო კუბადინსკი, სავა დილგოკოვი, ტაიო ცოლოვი, ტოდორ პავლოვი.

პლენუმმა გადაწყვიტა გაადიდოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა რიცხვი 9-დან 11-მდე და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა რიცხვი — 2-დან 4-მდე. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგები დიმიტრ განევი, ბორის ტასკოვი და ბოიან ბილგარანოვი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად — ამხანაგები დიმიტრ დიმოვი და მლადენ სტოიანოვი.

სხვა პასუხსაგებ სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის მდივნების მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხანაგები ენჩო სტაიკოვი და ბორის ტასკოვი და ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია ამხანაგები დანჩო დიმიტროვი და სტანკო ტოდოროვი.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

რომი, 16 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტა“ დღეს დაბეჭდა იმ რეზოლუციების ტექსტი, რომლებიც მიიღო იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის XV ყრილობის შედეგების შესახებ და ტრიესტის ტერიტორიის კომუნისტური პარტიის იტალიის კომპარტიის ავტონომიურ ფედერაციად გარდაქმნის შესახებ.

პირველ რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტი იწონებს იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის XV ყრილობის გადაწყვეტილებებს და მოუწოდებს ყველა კომკავშირელს:

„1) შეიტანონ თავიანთი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის საქმეში, გაერთიანონ იტალიის ქალიშვილთა და ჭაბუკთა ფართო მასები თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვისათვის, იტალიის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, იმ სამხედრო ბლოკების მოსპობისათვის ბრძოლაში, რომლებიც თიშავენ ევროპასა და მსოფლიოს;

2) გაერთიანონ ქალიშვილები და ჭაბუკები და დარაზმონ ისინი კლერიკალურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ამჟამად მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს იტალიის საერთო პროგრესისა და იტალიის ახალგაზრდობის ფართო მასების ცხოვრების გზაზე“.

მეორე რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ახლანდელ პირობებში „იმ ძირითადი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დასახულია ტრიესტის მშრომელებისა და მთელი მოსახლეობის წინაშე, მჭიდროდ უკავშირდება იმ მიზნების მიღწევას, რომლებისთვისაც იბრძვიან იტალიის მშრომელები, მთელი იტალიელი ხალხი“.

ტრიესტის პარტიული ორგანიზაციისათვის იტალიის კომუნისტური პარტიის ავტონომიური ფედერაციის სტატუტის მინიჭებასთან დაკავშირებით რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ეს ავტონომია გამოწვეულია განსაკუთრებული პირობებით, რომლებიც ტრიესტში არსებობს და, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მნიშვნელოვანია სლოვენთა ეროვნული უმცირესობა. ეს გარემოება იწვევს ტრიესტის ადმინისტრაციული ავტონომიის საჭიროებას. ამიტომ კომუნისტები მოითხოვენ შეიქმნას ფრიულიენე